სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: „საბაჟო დეკლარირება“
პროგრამის სახე: ☒ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☐ **3** ☐ **4** ☒ **5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: **12 კვირა**
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: **16 საათი**
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური - 20** **მაქსიმალური - 40**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია პირს გააცნოს საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული პროცესები, საბაჟო დოკუმენტაცია და საბაჟო პროცედურის შესაბამისი საბაჟო დეკლარაციების შევსების პრინციპები/წესები. რაც დაეხმარება კურსდამთავრებულს შეძლოს საბაჟო დეკლარირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემოწმება, მათი ვალიდურობის დადგენა სხვადასხვა სახის საბაჟო დეკლარაციების შევსება და საბაჟო დეკლარირება eCustoms -ის საშუალებით. ასევე ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას იმპორტით, ექსპორტით და სხვა საბაჟო პროცედურებით დაკავებულ ორგანიზაციებსა და საბროკერო ფირმებში. ან იყოს თვითდასაქმებული.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ-ის კოდის ურთიერთშესაბამისობის დადგენა;
2. ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა;
3. სეს ესნ-ის კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა;
4. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა;
5. საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის („ინკოტერმსის“) გამოყენება კონკრეტული კომერციული გარიგების შესაბამისად;
6. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
7. საბაჟო პროცედურების განხორციელება;
8. დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა;
9. მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში;
10. შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება;
11. ცვლილებების შეტანა დარეგისტრირებულ დეკლარაციაში;
12. დარეგისტრირებულ დეკლარაციის გაუქმება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი: **საბაჟო საქმე (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 04116-პ)**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ სრულ ზოგად განათლებას. პროგრამის ხანგრძლივობაა **12** კვირა, რომელიც მოიცავს **192** საკონტოქტანკო საათს, კვირეული დატვირთვა **16** სთ.

პროგრამა უზრუნველყოფს კადრის მომზადებას, რომელიც შეძლებს საბაჟო დეკლარირებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან ცენტრის **A** და **B** ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში. სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს: ლექციას (თეორიული მასალის ახსნა სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენებით); დისკუსიას; პრაქტიკულ სამუშაოს (სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული დავალებების/სავარჯიშოების განსაზღვრა და შესრულება).

განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნება შეფასების მეთოდი/ები: ზეპირი გამოკითხვა ან/და ტესტი, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლის მე -**6** კვირასა და მე -**12** კვირის ბოლოს. მსმენელთა შეფასებისთვის გამოყენებულ იქნება შეფასების მიმართულება: გამოკითხვა, პროდუქტის /შედეგის შეფასება და პროცესზე დაკვირვება. შეფასების ინსტრუმენები - ტესტი, პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე (კომპენტენციების დადასტურებაზე) დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი **2** ტიპის შეფასებას:

1) სწავლის შედეგი დადასტურდა;
2) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს. პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას იმ კომპანიებში, რომლებიც ახორციელებენ იმპორტს, ექსპორტს და სხვა საბაჟო პროცედურებს ან შეძლებეს თვითდასაქმებას. პროგრამის სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ნაწილობრივ დისტანციურად.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	• სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) არსი და შექმნის მნიშვნელობა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის # 275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“; • საქონლის კლასიფიკაციის პრინციპები და კრიტერიუმები (სეს ესნ -ის მიხედვით); • სესესნ–ის და სესესნ–ის კოდის სტრუქტურა (კარი, ჯგუფი, ქვეჯგუფი, სასაქონლო პოზიცია, სუბპოზიცია, ქვესუბპოზიცია) და მათი ფორმირების პრინციპები; • ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება; • სავარჯიშოები – საქონლის დასახელებისა და მახასიათებლების განსაზღვრა მისი კოდების მიხედვით;	1.1.	16	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, B

2	• საქონლის დასახელების, აღწერის და სეს ესნ -ის კოდების ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა და პრაქტიკული სავარჯიშო მასთან დაკავშირებით; • სავარჯიშოები – საქონლის კოდის განსაზღვრა მისი დასახელებისა და აღწერის მიხედვით; • ინტეგრირებული ტარიფი, მისი სტრუქტურა და გამოყენების სფერო. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის #351 დადგენილება „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“; • ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა; • დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი; • ინტეგრირებული ტარიფის მიხედვით საქონლის მიმართ გამოყენებული საგადასახადო რეჟიმი: იმპორტის გადასახადის განაკვეთები, აქციზის განაკვეთები, დღგ-ის განაკვეთები, საგადასახადო შეღავათები;	**1.1; 1.2**	**16**	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	**A, B**
3	• ინტეგრირებული ტარიფის მიხედვით საქონლის მიმართ გამოყენებული სხვა არასატარიფო ღონისძიებები: ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, რეგისტრაცია, აკრძალვები, კვოტები, ნებართვის გამცემი და მარეგისტრირებელი ორგანოები; • შემთხვევების ანალიზი; • პრაქტიკული სავარჯიშოები ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით; • სესესნ-ში გამოყენებული საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულები - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის # 275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“;	**1.2; 1.3**	**16**	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	**A, B**
4	• ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრის მნიშვნელობა; • დამატებითი ზომის ერთეული და საბაჟო გადასახადი. • ინტერპრეტაციის ძირითადი წესები.	**1.3; 2.1**	**16**	ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	**A, B**

	• განსხვავება ტერმინ წარმოებულსა და წარმოშობილს შორის; • განსხვავება საქონლის ექსპორტისა და წარმოშობის ქვეყანას შორის; • საქონლის წარმოშობის დადასტურების მიზანი, წარმოშობის დადასტურების გზები და წარმოშობის სახეები; • წარმოშობის სახეები – პრეფერენციული და არაპრეფერენციული წარმოშობა; • წარმოშობის დადასტურების გზები (საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, „წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება“, საქონლის წარმოშობის დეკლარირება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაცია ან ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაცია); • წარმოშობის ქვეყნის დეკლარირება; • წარმოშობის სერტიფიკატების სახეები (საქონლის შეღავათების გარეშე, (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი; საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა „A“; პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი **CT-1**; პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი **EUR.1**), წარმოშობის სერთიფიკატი (ჩინეთი), წარმოშობის სერთიფიკატი (ჰონგ-კონგი) და მათი შევსების წესები და გამოყენების შემთხვევები;			მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	ან/და ტესტი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით,	
5	• სერთიფიკატის მოქმედების ვადები და გამცემი ორგანოები; • სერთიფიკატის შესაბამისობის დადგენა სერთიფიკატის დამტკიცებულ ფორმებთან და მისი ვალიდურობის შემოწმება; • საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა წარმოშობის დეკლარირების, წინასწარი გადაწყვეტილების, კანონმდებლობით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და ანგარიშფაქტურის (ინვოისის) საფუძველზე; • საქონლის წარმოშობის სერთიფიკატის გასაცემად საჭირო დოკუმენტების დადგენა წარმოშობის სერთიფიკატის სახეების მიხდვით; • საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები (**1.** მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონლის კრიტერიუმი; **2.** სეს ესნ სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი; **3.** ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი?; **4.** აუცილებელი პირობების, საწარმოო და	**2.1.; 2.2.**	**16**	ლექცია, დისკუსია,	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა ან/და ტესტი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით,	**A, B**

	ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი), მათი არსი, გამოყენების შემთხვევები; • „ინკოტერმსი“ „ინკოტერმსი“-ის ჯგუფებისა და პირობების განმარტებები;					
6	• საბაჟო ღირებულების ელემენტები; • სასაქონლო პარტიის განმარტება საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიზნებისთვის. ინვოისის არსებობის მნიშვნელობა საქონლის საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მიხედვით განსაზღვრისთვის; • საქონლის საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მიხედვით განსაზღვრის გადაწყვეტილების მიღების ადეკვატურობა (დასაბუთება).	2.2;	4	დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით,	A, B
	განმსაზღვრელი შეფასება	1.1; 1.2; 1.3 2.1; 2.2.	4	-	**ტესტი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით,**	A, B
	• საბაჟო პროცედურა და რეექსპორტი; • თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურა (იმპორტის სასაქონლო ოპერაცია) და მისი განხორციელების პირობები; • დეკლარირების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები; • იმპორტის გადასახდელების სახეობები: იმპორის გადასახადი, აქციზი, დღგ. განაკვეთები; • საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადები; • მომსახურების საფასურები, მისი ოდენობა, გადახდის და განთავისუფლების შემთხვევები;	3.1.	8	ლექცია, დისკუსია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა ან/და ტესტი	A, B

7	● კოდექსით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეღავათები და განთავისუფლებები; ● დაბრუნებული საქონლის დაბეგვრა; ● ექსპორტის საბაჟო პროცედურის (სასაქონლო ოპერაციის) აღწერა, გამოყენება, დანიშნულება, პირობები, ვადები, პროცედურები, გადასახდელები, დეკლარირების ფორმები და შემთხვევები; ● მიზნობრივი დანიშნულების საბაჟო პროცედურის აღწერა, გამოყენება, დანიშნულება, პირობები, ვადები, პროცედურები, დეკლარირების ფორმები და შემთხვევები; ● რეექსპორტის აღწერა, გამოყენება, დანიშნულება, პირობები, ვადები, პროცედურები, გადასახდელები დეკლარირების ფორმები და შემთხვევები. ● ტრანზიტის პროცედურის, აღწერა, გამოყენება, დანიშნულება, პირობები, ვადები, პროცედურები, გადასახდელები, დეკლარირების ფორმები და შემთხვევები. საქონლის უკან დაბრუნება; ● საბაჟო დეკლარირება, დეკლარაცია, მისი სახეები, გამოყენების წესი, დანიშნულება; ● საბაჟო დეკლარაციის ფორმები: ზეპირი, ელექტრონული, წერილობითი, ქმედითი;	3.1 ; 3.2; 4.1.	16	ლექცია, დისკუსია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა ან/და ტესტი,	A, B
8	● საბაჟო დეკლარაციის სახეები: სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია; ● სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის ფორმები: საქონლის საბაჟო დეკლარაცია, საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია, ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია; ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაცია; ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია; ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთის საბაჟო დეკლარაცია; ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაცია; რეექსპორტი დეკლარაცია. ● რომელი საბაჟო დეკლარაცია რა შემთხვევაში გამოიყენება;	4.1.	16	ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშოები	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა ან/და ტესტი, პრაქტიკული დავალება	A, B

9	• საბაჟო დეკლარირების მოდულთან მუშაობა, • კლასიფიკატორი, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები: eCustoms,Oracle; • დეკლარირების კლასიფიკატორი, საქონლის ექსპორტიორის/იმპორტიორის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, ტელეფონი);	**4.2.**	**16**	ლექცია, დისკუსია,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	**A, B**
10	• საბაჟო პროცედურის (სასაქონლო ოპერაციის) კლასიფიკატორები (კოდი): სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე, სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში, საქონლის აღწერილობა, დამატებითი დოკუმენტაციის კლასიფიკატორები (კოდები), ვალუტის კლასიფიკატორები, გაფორმების ადგილებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების კლასიფიკატორები (კოდები), გადაზიდვაზე უფლებამოსილი პირი, ბრუტო და ნეტო წონა, სეს ესნ-ის კოდი, საბაჟო ღირებულება, საბაჟო გადასახდელები.	**4.2.**	**16**	ლექცია, დისკუსია,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	**A, B**
11	• საბაჟო დეკლარაციისათვის **C** რეგისტრაციის ნომრის მინიჭება, • რეგისტრაციის მომენტის მნიშვნელობა საბაჟო დეკლარაციის იურიდიული მიზნით გამოსაყენებლად, • კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური ინფორმაცია.	**4.2.**	**16**	ლექცია, დისკუსია,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	**A, B**
12	• დეკლარანტის ინიციატივით საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა საქონლის გაშვებამდედა გაშვების შემდეგ; • განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია; • საბაჟო დეკლარაციის მაიდენტიფიცირებელი ნომრისა და თარიღის სწორად მითითება; • საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანისათვის აუცილებელი მტკიცებულებების მითითება განცხადებაში; • წერილობითი ან ელექტრონული განცხადება. • საქონლის განკარგვის ღონისძიებები; განცხადება დეკლარაციის გაუქმების შესახებ; • საბაჟო ორგანოს დასახელება, რომელმაც უნდა გააუქმოს დეკლარაცია; • განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია; • საბაჟო დეკლარაციის გაუქმებისათვის აუცილებელი მტკიცებულებების მითითება გაუქმების განცხადებაში.	**4.3.; 4.4.**	**10**	ლექცია, დისკუსია,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	**A, B**

	განმსაზღვრელი შეფასება	**3.1; 3.2; 4.1; 4.3 ; 4.4**	**6**	-	**ტესტი, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით,**	**A, B**

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა: საბაჟო საქმე	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	**სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი**
1. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა - 0411602	**1.1.** საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ-ის კოდის ურთიერთშესაბამისობა; **1.2.** ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა; **1.3.** სეს ესნ-ის კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა.
2. საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა 0411606	**2.1.** საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა; **2.2.** საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით;
3. სასაქონლო ოპერაციები და საბაჟო გადასახდელები 0411607	**3.1.** იმპორტის სასაქონლო ოპერაციის აღწერა; **3.2.** ექსპორტის/რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის აღწერა.
4. საბაჟო დეკლარირება 0411608	**4.1.** დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა; **4.2.** საბაჟო დეკლარაციის შევსება შესაბამის სისტემის მოდულში; **4.3.** ცვლილებების შეტანა დარეგისტრირებულ დეკლარაციაში; **4.4.** დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება.

დანართი 1

პროგრამისგანმახორციელებელიპერსონალი

სასწავლებლის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომზადების პროგრამის სახელწოდება: „საბაჟო დეკლარირება“

№	პერსონალის სახელი გვარი	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება
1.	ლაშა ჩაკვეტაძე	ბიზნესის მართვის მაგისტრი, საბაჟო სფეროში (უფროსი მებაჟე-ოფიცერი) მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება
2.	ზვიად ბეშკენაძე	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საბაჟო სფეროში პედაგოგიური მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება. პროფესიულ პროგრამის „საბაჟო საქმე“ სხვადასხვა მოდულის სწავლების 5 წლის გამოცდილება

დანართი N2

პროფესიული მომზადების პროგრამა - ,,საბაჟო დეკლარირება”

სასწავლო რესურსი

	1. სასწავლო ლიტერატურა
1.	საქართველოს საბაჟო კოდექსი
2.	საქართველოს საგადასახადო კოდექსი
3.	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის # 275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე
4.	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის №351 დადგენილება „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“;
5.	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“
6.	საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“
7.	საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიულიპირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანისთაობაზე“

8.	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“
9.	საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ
10.	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის №25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“
11.	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
12.	ASYCUDA WORLD მუშაობის წესები
13.	საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2015

	2. ინტერნეტრესურსი
1.	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი - www.mof.ge
2.	შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი - www.rs.g
3.	საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი - www.matsne.gov.ge

	3. აუდიო/ვიდეო მასალა
1	

	4. თვალსაჩინოება
1	

	5. სხვა
1	სპეციალური კომპიუტერული პროგრამის E-Customs -ის დემო ვერსია

დანართი N3

ლოკაცია და აღჭურვილობა

პროფესიული მომზადების პროგრამა - ,,საბაჟო დეკლარირება”

ქ. ქუთაისი, ნიკეას მე–2 შესახვევი N 8,აუდიტორია №212

№	დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	პროფესიულსტუდენტზე/ სასწავლო გარემოზე
ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ო ბ ა				
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდადა სკამი)	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
2.	პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
3.	პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
4.	პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
5.	დაფა	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
6.	პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
7.	პრინტერი (კომბაინი)	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
8.	ფლეშ-მეხსიერება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
ნედლეული ნასალები				
1.	საშლელი	1	ცალი	ჯგუფზე
2.	მარკერი	1	შეკვრა	ჯგუფზე
3.	ქაღალდი A4	2	შეკვრა	ჯგუფზე